ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №30

2022 წლის 27 დეკემბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხისა და

თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ", ,,დ.ე" ქვეპუნქტების შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს,**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან და დადგენილების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის აგვისტოს №23 დადგენილება.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო

N	თანამდებობების დასახელება	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
1	საკრებულოს თავმჯდომარე	4960	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	3750	1
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	3267	2
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2662	5
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2420	2
	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1936	11
	საკრებულოს აპარატი		
1	მუნიციპალიტეტის საკრებულოს I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) პირველი რანგის თანამდებობა	2420	1
2	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის II რანგის უფროსი საორგანიზაციო და საქმისწარმოების საკითხებში	1936	1
3	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	1452	2
4	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	1452	4
5	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1452	1
6	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1452	1
7	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვისა და საკადრო საკითხებში	1452	1